



თეატრი სხოვრება



ავიაცთლ სალიცრაჯერო აქრნალო



თეატრი და სხოვრების რედაქცია მოთავსებულია ქართულ თეატრის კანტორაში, სარდაქიო პეტეებზე მოლაპარაკება—დილით 9—2 ს., საღამოთი 6—8 ს. აქვე მიიღება ხელის მოწერა.

წლიურად 5 მ., წლის ბოლომდე 4 მ., მასიდან 3 მ. 20 კ. მისამართი: Тифлиς. Грузинский Театръ, ред. „Театри да Цховреба“ Иосифу Имедашвили ტელეფონი № 7-95.

№ 14.—1914.

ფასი 10 კ.

კვირა, 8 ივნისი.

სალამი ქართულ სცენის



მოღვაწეთა პირველ ყრილობას

9886.6.



- 1) რას გვავალბებს დღევანდელი ყრილობა? შეთაურია
- 2) ქართული ორიგინალური დრამატურგია, ვანსტან-ანდრანისა
- 3) კონსპექტი ქართულ თეატრის ისტორიისა, გ. ლუხინისა
- 4) თემგლომარის წინადადება დრამატულ კლასების შესახებ, გ. თუშახიშვილისა
- 5) მიწის მუშას, ნომრეუჯანისას
- 6) მუსიკა და ქართველი მუსიკოსნი, ი. შარაღასისა
- 7) ქართულ თეატრის მოღვაწენი ქართლში, სოფ. შგალასაშვილისა
- 8) „იასონის ოინები“, ვოდვეილი 2 სურათად, ივ. გამართილისა
- 9) „მე“, მ. ბოჭორიშვილისა
- 10) მუშა პ. ვაჩეჩილაძის სიტყვა კ. მესხზე
- 11) წერტილი ამბები

- 1 ვაგროვებთ ყოველგვარ მასალას, ქართულ თეატრის მუზეუმისათვის გამოსადეგს; ამიტომ
- 3 ესთხოვთ ყველას, ვისაც მოეგობა ძველი თუ ბოლონდელი აფიშა, პროგრამა, მსახიობთა, დრამატურგთა, სსსცენო მოღვაწეთა, მუსიკოსთა, მხატვარ-მოქანდაკეთა სურათები, ჯგუფობრივ ანუ ცალკე გადაღებული, ნახატები.
- 8 ხელნაწერები (ძველი დროისა—გარდაცვალებულთა), თავისი სახელ-გვარის წარწერით გამოგზავნონ (Тифлиშ, Грузинский театр. Ред. „Театри да Цховრება“—Иოსიფუ Имедაშვილი). მოგროვილი მასალა შესაფერი წესრიგით და ნომრით დაცულ იქნება განსაკუთრებულ, უმიშარ ადგილას, ქართულ თეატრში.

რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“



ქართული თეატრი

დასაწყისი საღამოს 8/1, ს.

ადგილებს ფასი ჩვეულებრივია ბილეთები იყიდება კასაში

დღეს, კვირას, 8 ივნისს **შალვა დადიანის** თაოსნობით წარმოდგენილი იქნება პირველად თბილისის სცენაზე **ნინო ნაკაშიძის** პიესა

დრამა 4 მოქმ. **მონაწილეობენ:** ქ-ნნი

ჰინ არის დამნაშავე?

7 სურათად ანდრთნიკაშვილი ელო,

ლევანა ო., ლოდობერიძე ო. ბ-ნნი: დადიანი, კორიშვილი, მურუსიძე, ურუშაძე, ხონელი. სალიანგო სანახავეგში—სახალხო თეატრის სცენის მოყვარენი და გურული მომღერლები. — **პიესის აღმწერლები არის დურული კილო არ იქნება დაცული**





№ 14

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. ს. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან (ს. სორაძის ქ. სტამბაში). მისამართი: თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოს. იმედაშვილი.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საქართველოს მებრ შვეიცარიდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

№ 14

კ ვ ი რ ა, 8 ი ვ ნ ი ს ი

1914 წ.

8 ი ვ ნ ი ს ი

სათეატრო მოღვაწენი

რას გვავალდებს დღევანდელი ყრილობა? ძლივს ერთი ბრწყინვალე დღეც უთენდება ჩვენის სასცენო ხელოვნების ზრდა-განვითარებას: დღე ქართულ თეატრში შესდგება სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა, რასაც აღფრთოვანებით ვულოცავთ ჩვენს სამშობლოს...

წინადაც გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ ამ ყრილობამ უნდა ჩაჰყაროს საძირკველი ჩვენის სცენის განახლება-აღორძინებისა და მიუკურობის შეუწყოს ქვეყნის გათვითნობიერებასა და წინსვლას...

ხოლო ჩვენი თეატრი თავის მოვლევობას პირნათლად მაშინ ალასრულებს, როდესაც თვით შეგნებით ივლის წინსვლის გზაზე...

აღარავისთვისა დაფარული ჩვენი სკოლის, ოჯახის თუ სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა გაუკუღმართების გზაზე შედგომა: ყველგან და ყველგან გავაღვივების ხელმა ჩაიბუღა, — გადაგვიარების არა მხოლოდ ენის, არამედ ზნის, ყოფა-ცხოვრების, სულისაც...

ერთადერთი ეროვნულად, მოქალაქეობრივად და საზოგადოებრივად გამწოვებული დაწესებულება ჩვენი თეატრია... ჩვენი თეატრია, რომ გვიფარავს ენას, ხალხოსნურ სულს, გვიღვივებს ეროვნულ თვითნობიერებას. მაგრამ თითქო ამ დაწესებულებასაც ეპარება გადამგვარებელი მიდრეკილება: მშობლიური ჰანგი, ქართული კილო წარყენილია, შერეული...

ხშირად წარმოდგენა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს უცხოელთ ახლად შეუსწავლიათ ქართული ენა და ისე სათამაშობენ...

რეპერტუარი? — აქამომდე ვისაც რა პიესა მოვპირიანებოდა, იმას სდგავდა: შინაარსსა და მხატვრულ მხარეს ხშირად ყურადღებას არ აქცევდა, — ეს თუ აქამომდე იყო, — დღეს შემდეგ აღარ უნდა განმეორდეს.

არა ერთხელ თქმულა, რომ დღეს ქართული თეატრის მაყურებელი სხლხა, ღემპრატა, იშვიათ შემთხვევაში არის რეაქტორი, მაღალი საზოგადოება თუ ესწრება, ისიც მხოლოდ ქველმოქმედურის მიზნით...



გიორგი ერისთავი (1811—1864)

პირველი დრამატურგი, პირველი რეჟისორი, პირველი მხანობი.



დ. ი. კუჩანი



ვ. კერესელიძე



ნ. ავილიშვილი



ე. კლიაშვილისა



სათესწრო მოღვაწენი

ეს არ შეეფერება ჩვენი თეატრის ღირსებასა და მის მსახურთ: ერთხელ და სამუდამოდ უარყოფილ უნდა იქმნეს ხელგაშეერთა და მოწყალეობით საზრდოობა... დღევანდელმა ქართულმა თეატრმა მხოლოდ მუდმივი მაყურებელის სულიერი წყურვლის დამაკაფილებლა უნდა დაისახოს მიზნად და საზრდოსაც მუდამ მისგან ელოდეს...

აქამომდე დრამატული საზოგადოებანი თუ წრენი ცალკალკე მოქმედებდენ, ერთი მეორის გვემის შეუტნობლად, — დღის შემდეგ მტკიცე კავშირი უნდა დაიდგას ქართულ სცენის მოღვაწეთა შორის და მათს მოქმედებას თავით-ბოლომდე ერთი ხაზი გასდევდეს...

დღეს ქართულ სცენის მოღვაწენი თუმცა რიცხვით გამრავლდენ, ღირსებით ბევრით კოქლობენ... დროა საზღვარი დაედოს სცენაზე ისეთ პირთა მიღებას, რომელთაც შესაფერი ვანვითარება-მოშახლება არ მიუღიათ, — ჩვენ აქ რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა ცენს არა ვგულისხმობთ, — ეს არც თუ ისე საჭიროა, — საჭიროა მხოლოდ ქართული სცენის მუშაკმა ზედმიწეფნი იკოდეს სამშობლო მწერლობა და ხელოვნების (განსაკუთრებით სასცენოს) სხვა და სხვა დარგნი.

ჩვენის სცენის ცხოვრებამ საჭიროდ სცნო დრამატულ კლასების დაარსება და ამ საგნის შესახებ 24 წლის წინად დრამ. საზ. გამგეობაში აღიძრა კიდევ საკითხი მისი დაარსებისა. შესაფერი მოხსენებაც წარუდგინა მაშინდელ გამგეობის თავმჯდომარემ გ. თუმანიშვილმა, მაგრამ „რადგან დრამატულ კლასების გახსნა ამ ხანად (1890 წ.) ძნელი იყო მასწავლებლების და მოსწავლეების ნაკლებობის გამო, გამგეობამ გადაწყვიტა: განაჩენში ჩასწეროს თავმჯდომარის წინადადება შესახებ დრამატული კლასების დაარსებისა და სამაგალითო წარმოდგენების გამართვისა, იმ აზრით, რომ ამ წინადადებით ისარგებლოს შემდეგში“. (განაჩენი ქართ. დრ. საზ. მმართველობისა 28 ბნკენისთვისა, 1890 წ.) აქვე ვბეჭდავთ ამ წინადადებას, ყოველივეს განუშარტველად: დღე, ყრილობამ განსაჯოს რაოდენად საჭიროა ამ კურსების დაარსება და რა საშუალებით.

დღემდე თითქმის უყურადღებოდ იყო მიტოვებული ავტორთა დაჯილდოება, — ზოგიერთი სეგებენიერნი თუ მიიღებდენ ხოლმე რაღაც გროშებს, უმეტესობა ხომ კაბიეკსაც ვერ ეღირსებოდა.

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გაინიხროს და იკოდეს ყველამ — სადაც უნდა დაიდგას პიესა, — მის ავტორსაც მიეცეს (გაეგზავნოს) კუთვნილი.

მეტად სავალალოა მოხუც მსახიობთა მდგომარეობა... საზოგადოდ მსახიობი თითქო წუთიერი ყოფით ცხოვრობსო, თევში 5 — 15 თუმანიც რო აიღოს, თვის ბოლოს გროში აღარ აქვსა „შავი დღე“ ხომ აღარც კი ახსოვს. აუცილებლად საჭიროა მსახიობთა საურთიერთო დამხმარე კასის შექმნა. ამიტომ სცენის ყოველ მუშაკს უნდა ვაღაზდეს ჯამაგირის უწყებული პროცენტი და ყოველ წლიურად თითო წარმოდგენა მიანც გამართოს საქართველოს დაბა-ქალაქებში ამ ფონდის სასარგებლოდ.

მაშ ასე: სამშობლო ენის სიფაქიზის დაცვა, შერჩეულ-იდეური რეპერტუარი, დედა-ქალაქისა და პროვინციის თეატრების ერთი გეგმით ამოქმედება, დრამატულ საზოგადოებთა გაერთიანება, მსახიობთა კავ-



პეტრე შუკიაშვილი



ალ. ნებეგიძე



ნ. ქართველიშვილი



ბ. კიფიანი



ბ. გოთუა

სცენის მოღვაწეთა ყრილობის მოწვევის ერთი დამწყებთავანი.



ქ ა რ თ უ ლ ი ს ყ ე ნ ი ს ბ უ რ ჯ ნ ი



გ. მახეხვილი



გ. აბაშიძე



კ. მახში



მ. საფ.-აბაშიძისა ნ გაბ.-ცაგარლისა



მსახიობნი, ანტრეპრენიორნი, რეჟისორნი, მთარგმნენი. თეთიმომპქმენი უნივერსიტენი მსახიობ-ქალნი

შორის დაარსება, განვითარებულ-მომზადებულ მსახიობთა რაზმის შექმნა, ავტორის ჯილდოს დაკანონება, მსახიობთა ფონდის დაფუძნება და სხ., — აი რას უნდა შიქტოს ყურადღება და შესაფერი გვეგზიოთაუ განახორციელოს იგი.

კიდევ ერთხელ ვუსურვებთ ჩვენი სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობას დინჯად, შორს-განკერეტი და ნაყოფიერად გმუშავოს!

უგულთადეს სალას ფუძენით ჩვენი ქვეყნის გათვითნობიერების მესვეურთ!



ქართული ორიგინალური დრამატურგია

(თვალის გადავლებით)

ქართული დრამატურგიის ისტორია უნდა განირჩეს ორის თვალსაზრისით:

პირველი: — ორგანიული ზრდა იმ დრამატულ ელემენტებისა, რომელნიც შედეგად მოჰყვენ ხალხის შემოქმედებასა; ხოლო მეორე: — სხვა ქვეყნიდან შემოტანილი ფორმა დრამატურგიისა.

ეს ორი თვალსაზრისი ერთი ფასისა და ინმარების როგორც მეოთხე მშობლიურ თეატრის ევოლიუციის შესწავლის დროს.

მე 19 საუკუნემდე ჩვენმა ერმა, თვისის შემოქმედებით, დაამზადა ელემენტები ჩვენი დრამისა: დიალოგი, მოქმედება, გარდმოცემა, თქმა და მრავ. სხვა. საჭირო იყო მხოლოდ ამ ელემენტების შედუღება და ეს შედუღება მან მე 18 საუკუნის დამლევს სცადა, რაიმეტკიცლება ერეკლე მეფის დროს რამდონიმე დრამის დაწერით. მაგრამ ჩვენი ერის კულტურულ მაჯის ცემის შეწყვეტამ ჩააჭრო ის ცეცხლი, რომელზედაც ეს შედუღება უნდა მომხდარიყო.

მე 19 საუკუნის პირველ ნახევარში იშვა ჩვენი ორიგინალური დრამატურგია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი არ არის ნაყოფი ხალხის შემოქმედების ევოლიუციისა, იგი წარმოშობილია და შექმნილი მძლავრ პიროვნების შემოქმედების ინციტაციით. ეს პიროვნება ვახლავთ თ-ი გ. დ. ერისთავი.

ჩაქედან იწყება სისტემატიური ქმნა ჩვენი დრამატურგიისა.

დრამატურგენი



ბ. გოგრაძისა



ალ. ორბელიანი



დ. ერისთავი



ავ. ცაგარელი



გ. ერისთავის „გაყრა“ პირველი ქვაბრის, ჩვენს დრამატურგის შენობის საძირკველზე მოტანილი.

პირველად დაიბადა და განვითარდა ეგრედ წოდებული ყოფა-ცხოვრების კომედია (бытовая комедия). ეს არის პირველი საფეხური ჩვენის ტრამატურგის განვითარებისა.

1838 წლიდან 1905 წლამდე ამ კომედიის შექმნა-განვითარებას მონაწილეს თავისი ნიქი გ. ერისთავმა, ანტონოვმა, ღვანაძემ, ჯაფარიძემ, მეფარიანმა, ა. ცაგარელმა, აზიანმა, კლდიაშვილმა, თუთაევმა, გ. წყნეთელმა და სხვ.

მეორე დარგს ჩვენის დრამატურგიისას—თვით დრამას (ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით) საძირკველი ჩაუყარა ალ. ყაზბეგის „ახსენაში“. ეს მოხდა 1882 წელს. იმ დროიდან დღემდე დრამატურგის ეს დარგი ძიების ხანას განიცდის. ჯერ საბოლოოდ არ არის გამოარკვეული არც ფორმა და არც მიმართულება ორიგინალურ დრამისა; თუმც ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს ჩვენი დრამას მეტად ნიქიერი ქურუმნი გამოუჩნდნენ. ვგულისხმობ: ნიკ. შიუკაშვილს, ი. გედევანიშვილს, ტრ. რამიშვილს და პეტელს ჯგუფს ახალგაზრდა დრამატურგებისას.


ვიმეორებ: დღემდე შექმნილია და დასრულებული ყოფა-ცხოვრების კომედია. სხვა დარგები ჩვენის დრამატურგიისა ჯერ კიდევ ძიებისა და განვითარების ხანას განიცდიან.

ჩვენა გვევლინა, რომ ის, რაც ხალხის შემოქმედების მეოხებით მე-19-ტე საუკუნემდე შექმნილა და ის რაიც მე-19-ტე საუკუნის განმავლობაში შეიქმნა, შეიქმნა სრულიად დამოუკიდებლად წარსულისა,—მომავალში შედლულდება, შედედდება, შეკავშირდება ორგანიულად და მით მოგვევლინება ორიგინალური ფორმა და სახე ჩვენის დრამატურგიისა. ეს მოხდება ლუცილებლად, რადგანაც ამ პროცესის გარეშე ყოვლად შეუძლებელია არსებობა ჩვენის თეატრისა.

ეს მოხდება აუცილებლად, რადგანაც პროცესი ამ შედლულება-შეკავშირებისა უკვე დაიწყო.

კონსტანანდრონი

დრამატურგნი



ალ. ყაზბეგი




გ. გვინია



ი. გულისაშვილი



აზიანი



გ. ხუნდუკიანი



ი. გედევანიშვილი



გ. ყოფიანი



ნ. შიუკაშვილი



დ. კლდიაშვილი



ტრ. რამიშვილი



დ რ ა მ ა ტ რ უ რ ე ნ ი



დ. ნახუცრიშვილი



ივ. გომართელი



ირეთელი



შოთა ლადიანი



ს. გლახაშვილი

მონსეიჟი ქართულ თეატრის ისტორიისა

1790 წლიდან 1879 წლამდე

ქართული თეატრის გეგმა და ნიადაგი შემუშავდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართველთა ცხოვრებაში ხმალი ტრიალებდა და ქვეყნად განისმოდა: გაპარჯვება ან სიკვდილი!...

მაგრამ თეატრის ნამდვილი მოქმედება დაიწყო 1790 წლიდან. ამ წლიდან დღევანდლამდე მას ბევრი ჭირ-ვარამი ჰხვედომა წილად, ბევრი მსხვერპლი შეწირულა მისი გაუმჯობესებისათვის, მაგრამ მან ყველაფერი აიტანა და დღეს უკვე სასურველი ნიადაგი მოაპოვა.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა უწევდა ქართველებს თეატრის მაგიერობას ახლო საუკუნეებში. ამის პასუხი თითქმის არც ისე ძნელია. თეატრის ავგიერობას სწევდნენ ეგრედწოდებულნი ჟამბახთა წრეები, ეპახთა, ჟირითებთა და სხ. ქართულ თეატრის მამამთავრად და საფუძვლის ჩამყრელად უნდა ვიცნობდეთ ვინმე გაბრიელ მაიორს, რომლის გვარი და ბიოგრაფია ჩვენთვის სრულიად გამოურკვეველია. მხოლოდ ვიცით შემდეგი: იგი ცხოვრობდა ჯერ რუსეთში (მე-XVIII საუკ. ბოლოს) და იყო მაიორად, ხოლო შემდგომ ჩამოვიდა საქართველოში. აქ, დინტერესებულმა ევროპის ცოდნით მოიწადინა, თვისი სწავლის გაზიარება მოძმეთათვის და, სხვათა შორის, თეატრის დარსება, ვინაიდან თეატრი, როგორც საკულტურო დაწესებულება, გავრცელებული იყო ევროპაში და რუსეთშიც მტკიცე ფესვებს იდებდა. (გაიხსენეთ მაშინდელი ცნობილი დრამატურგი სუმაროკოვი).

საქართველოში თეატრი მანამდე არ არსებობდა, ხოლო სურვილი და ცოდნა დიდი ხანია ჰქონდა ქართველ არისტოკრატებს.

პირველი ქართული წარმოდგენები გაიმართა 1789—90 წლებში, ხოლო პიესები უნდა ყოფილიყო სასულიერო შინაარსისა. (რუსულად, რუსულ თეატრის მამამთავარმა ართამონ სერგის ძე მთევევმა წარმოადგინა ამავე შინაარსის პიესები, როგორც მაგალ. „Юдифь и Олофернь“, „Эсфирь“, „Алексѣй Божий человекъ“ და სხ.). ჩვენდა საბედნიეროდ და სიამართლის დასამტკიცებლად, დარჩა მაშინდელი წარმოდგენების იაფ-ფასიანი ბლოგთები, რომლებზედაც ჰსწერია: „შუფი იანი, გაბრიელ მაიორი“. გაბრიელი სწავლული და განათლებული კაცი ყოფილა, სკოდნია რამდენიმე ევროპიული ენაც და კარგად რუსული. იგი ფრიად



ა. შანშიაშვილი

შთარგმენი



ივ. ჯამაჩაბელი



ი. ბაკრაძე



ი. მაჭავარიანი

დიდი მეგობარი იყო ირაკლი II-სა. 1795 წელს, თბილისის დაღუპვის დროს, მას ეხარა არტილერია. საერთო ბრძოლის დროს, როდესაც ქართველები დღლატით დამარცხდნენ, იგი სპარსელებმა მოწყალებით აკუწეს ხელით ზარბაზნზე - მამულის თავდადებისათვის. თანამედროვე მივდნის, იოსებ ამერიძის სიტყვით, გაბრიელი სდაგედა წარმოადგენებს ჯერ მესხიშვილების სახლში, შემდეგ ორბელიანების, მელიქიშვილებისა და სხ. გაბრიელის სიკვდილის და თბილისის აოხრების შემდეგ ქართული თეატრის სამქვენი გაბრიელის კვალს მიჰყვნიენ: დავით ბატონიშვილი, დ. ავალიშვილი, ჩოლოყაშვილი და სხ. ამათში დრამატული ნიჭით იყო აღტურვლი დავით ავალიშვილი. მან დასწერა „თეიმურაზ II“ (1790 წ.) იმავე წელს „ჩქის მატარებელი“, „დედა რაყიფის ქალისა“, „უზნობა მკვდართა“ და „ძუნწი და უხვი“. ჩოლოყაშვილს ეკუთნის 1795 წელს გაზაფხულზე რასინის პიესის „იფიგენიასი“ თარგმნა.



გ. უიფშიძე



ა. ახნაზაროვი



განდვილი



ალ. იმელაშვილი



დ. მესხი



ი. პოდლუმორდვიჩოვი

მსახიობებს თეატრისათვის იძლეოდა ავადობა და სამეფო სახლი. 1800 წ. ჩავიხვევინდა არსებობის მუქუტავი ვარსკვლავი და ჩვენი ცხოვრების ნიადაგი შეიცვალა. ამის შემდეგ დადგა დაქუცმაცების ხანა, მაგრამ ამ დროსაც არ შეწყვეტილა სათეატრო მუშაობა. ამ დროს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ თეატრის წინაშე ცნობილ ტკბილს მგოსანს თ. ალექსანდრე ქავკავაძეს. მას ეკუთვნის რასინის პიესის თარგმანი „კინა“ (1810 წ.), ვოლტერის ორი ტრაგედია „ზიზიარა“ და „აღზირი“ (ღექსად 1820 წ.), „მეროპა“ (1825 წ.), „მუჰამედი“ (1828 წ.) და „ერაკლე“ (ღექსად 1830 წ.). ვილკას უთარგმნია „კრინის მასკა“. ალ. ქავკავაძის შემდეგ დიდი ღვაწლი მიუძღვით: შექსპირის ტრადიციების მთარგმნელს დიდებულ მამულიშვილს დ. ყფიანს, თ. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანს და სხ. უკანასკნელმა დასწერა შედეგი პიესები: „ოთხ მქმედებიანი ტრაგედია „ბატონისშვილის ირაკლის პირველი დრო“ და „დავით აღმაშენებელი“ 4 მოქმ. დრამა. იმავე ხანებში სათეატრო მოღვაწეთ ითვლება მდ. ს. ნეხიშვილი, იგი თეატრის დიდი მოყვარული იყო და პიესაც კი დაწერა სახელდობრ „ყვარყვარე ათაბაგი“, რომელიც დაბეჭდინა გ. ერისთავის სახელით ჟურნალ „ციცკარში“ 1853 წ. თითქმის ამავე ხანში გამოდიან: ალ. გარსევანიშვილი (კომედია „ვაი, ცოლები დაკარგეთ“), დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი (ორ მოქმ. კომედიები: „კატა აწონა“, „ჩემი ქმარი სხვას ირთავს“, „ეკიმბაში“ და სხ.) და მერიუარიანი (კომ. „ქმარი გავივით მახეში“). იმავე დროს ახლოვდება ბრწყინვალე ხანა ქართულ თეატრისათვის, ხანა გ. ერისთავისა, იმ ერისთავისა, რომელიც შუქურ ვარსკვლავივით მოველინა მშობლიურს სცენას და ბრწყინვალე და ძღვევამოსილი სხივებით გააცოცხლა ჩვენი დრომოქმული ცხოვრება. გ. ერისთავი იყო ის ანგელოზი, რომელმაც უკვდავი სული შთაჰბერა თეატრს და თვის მიერ მტკიცე საფუძველის ჩაყრით, მოახწვეინა დღევანდლამდ. როდესაც გ. ერისთავი გამოვიდა სათეატრო ასპარეზზე, ქართლის დამინებული სამეფო სახარელ სურათს წარმოადგენდა. ერთ მხრივ განისმობდა ღრინაცელი თავდაპაწურობისა, გამოწვეული ღვინის ძაღვან ცუცხლით და მინავარი მხეთკა ყმუილისა, ხოლო მეორეს მხრივ ჩუმი ცრემლი, ჩუმი ვოდება სვე-უბედურ გლეხობისა! აი, სწორედ ამ დროს აღმობრწყინდა ნუგეშის მომცემი ვარსკვლავი, რომლის სხივები



ახლაც შორეულ წარსულიდან გვეყენენ სიბოის მოუკლებელს.

მაგრამ, კ. მესხის ლექსისა არ იყოს: ვით ცალ მარგილზე ღობე წულისა უსხვამარგილოდ არ მოიწვნება, ისევე ძალა ერთი კაცისა დიდ საქმისათვის მქრალადა ჩნდება... სწორედ ესევე იყო გიორგი ერისთავის საქმე, თუ მას არ მიჰველებოდნენ ზურაბ ანტონოვი და მეფის მოადგილე ვორონცოვი, იგი ვერ აღადგენდა ქართულ თეატრის ჩამკვდარ ძალას. ჩვენ უკვე კარგად ვიცით, რომ ვორონცოვმა დიპლომატიურ ძვალსაზრისით რუსულ თეატრთან, აგრეთვე გამართა ქართული თეატრიც და რომ 1850 წ. წარმოდგენილი იქმნა გ. ერისთავის ორიგინალური პიესა „გაყრა“, რომელმაც არსებითი აღტაცება გამოიწვია თანამედროვე საზოგადოებაში. ჩვენ აქ ალარ „შეუღლებით ლაპარაკს გ. ერისთავის ეპოქაზე, რადგანაც ამზე ბევრი დაწერილა და ბევრიც გავგვირინა.

გ. ერისთავის შემდეგ ქართული თეატრის საქმე ცოტათი შეფერხდა უსახსრობის გამო, მიუხედავად და დავიწყებას მიეცა, მაგრამ 1879 წელს ნ. სექტემბერს, კვლავ განახლდა და აღორძინდა დამწვარ ფენიქსისავით.

... და, აი. ამ დღიდან დღევანდლამდე ქართულმა თეატრმა წინ წაიწია, იგი უკვე შეიმოსა შარავანდედით, იგი დღეს ძალუმად და უხვად არის განათებული და მისი სხივიც გამოკეზული დიად ძლისგან არ ჩაჰკრება, ვიდრე არსებობს ქვეყანა, ვიდრე ჰსცოცხლობს მისი სამშობლო!

გ. ლეონიძე



სულფიორი ნ. გალუსტოვი



ა. წუწუნავა




ნ. გვარამე (ბაქოსი)



სცენარისტი ა. თამაზიშვილი

რეჟისორნი



მ. ბეგუთაშვილი „სამშობლოს“ პირველად დამდგმელი



გ. თუმანიშვილი



ვ. სულხანიშვილი



ვ. შალიკაშვილი



შალვა დადიანი ქართულ სცენის მოღვაწეთა ყრილობის ერთი მეთაურთაგანი



ნ. სვიმონიძე



ი. ივანიძე



კ. კანდლონიკაშვილი



მ. ქარელი



კ. შათირიშვილი



ქართულ დრამატულ სამოვადოების პირველი გამეგობა



გ. თუმანიშვილი
ზახინდარი



თამეჯღომაოვ
ილია ჰვეკვესველი




თამეჯღომა. ახანაგვი
აკაკი წერეთელი



მდივანი
კ. ყიფიანი



მ. კ. ყიფიანი



რ. ერისთავი



ნ. ხანაშვილი

თავსჯღომაოვარის წინადადება

დრამატულ კლასიკის შესახებ*)

ჩვენ არა გვეყავს არც დრამატული მოარ-
შიყე—ვაფი, არც დრამატული არტისტი ქა-
ლი, რის გამოც არ შეიძლება წარმოდგენა
ქართულს სცენაზე არამც თუ დრამისა, არა-
მედ რომელიმე შესაჩინევ კომედისი.

ამას გარდა ქართულს დასს ეტყობა ისე-
თი სიმცირე მოთამაშეებისა, რო ერთი-ორი
მას დააკლდეს, წარმოდგენა იზღება.

უმეტესი ნაწილი მოთამაშეებისა ხზირად
იცვლება სცენაზე და იმ მცირე დროს, რო-
მელსაც ის ხმარობს სათამაშოდ, ის რჩება
უხელმძღვანელოდ, სცენის შეუჩვევლობა ეტ-
ყობა, და წარმოდგენის მწყობრობას არამც
თუ არ ჰმატებს რასმეს, არამედ ბევრს აკლებს.
ამის გამო თითქმის ყოველ ქართულს წარმოდ-

გენას ეტყობა მოუმზადებლობა მოთამაშეებისა.

ამ გამოუცდლობის ნიჭის გასაფარჯიშათ
უეჭველად საჭიროა სკოლა. სკოლა ამას გარდა
გამრავლებს მოთამაშეთ: ვინც ეხლა უხელ-
მძღვანელოდ გულს იცრუებს სცენაზე და ჩქა-
რა სტოვებს იმას, ის სკოლაში შეისწავლის და
შეიყვარებს სცენას; ვინც ეხლა ვერ ბედავ
პირდაპირ გამოსვლას სცენაზე მოუზადებლოც,
ის ხალისიანად მიიღებს მონაწილეობას სკო-
ლის წარმოდგენებში. ვისაც ეხლა თავის მდგო-
მარეობის გამო ეშინია აქტიორის მუდმივ ხე-
ლობისა, ის არ ითავილებს სკოლაში გაფრ-
ჯიშებას თავის ნიჭისას.

სკოლას, გარდა სწავლისა, შეუძლიან წარ-
მოდგენების გამართვა. სკოლა თუ გაიყო ოთხ
კლასათ, ანუ ოთხის მასწავლებლის დასათ
და ყოველმა დასმა თვეში ერთი სამავალითო
წარმოდგენა მოახერხა, მაშინ ჩვენ გვექნება
ისეთივე რიკხე წარმოდგენებისა, როგორიც
გვაქვს ეხლა სამუდამო დასისავან. კლასის უფ-
როსად უნდა იყოს ან დახელოვნებული არ-
ტისტი ან რეჟისორი, ან სხვა მკოდნე სცე-

*) ქართ. დრამ. სახ. საქმე № 3 (დასაბამიდან
№ 4), 28 ნენისთვე 1890 წ.—გებუდავთ უცვლელად.
რედ.



ქართულ დრამატიკულ სამოედლოების ასლანდელი გამეგობა,

რომლის თაონსნობითაც მოწვეულ იქნა ქართველ სცენის მოღვაწეთა პირველი ყროლობა



ხაზინადარი

ა. ავალიშვილი



თავმჯდომარე

კ. თუმანიშვილი



თავმჯ. ამხანაგი

ნ. ერისთავი



მდივანი

ი. გვლდევანიშვილი



ი. ბარათაშვილი



მ. მესხიშვილი



მ. მიქელაძე



დ. ღუმბაძე (კანდ.)

ნისა, ჩვენის მწერლობისა და ენისა. უმთავრესი ყურადღება უნდა მიქცეული იყოს პრაქტიკულ სწავლისათვის; ამგვარად სკოლა გარდიქცევა სამაგალითო წარმოდგენების რეპერტიციებათ და უმთავრესი როლის ასრულება შეიძლება იკისროს თვით მასწავლებელმა.

მატერიალურ მხრით შეიძლება სკოლა მოეწყოს შემდეგ გვარად: მოსწავლეებისაგან არაფერი სასყიდელი არ უნდა აეღოთ. მასწავლებლების დასაჯილოებლად უნდა ვადიდოს მთელი წმინდა შემოსავალი იმ წარმოდგენებისა, რომლებსაც ისინი გამართავენ. თუ მხნეობამ, ნიქმა და ცოდნამ ვერ უშველა მასწავლებელს მოეზინდა თავის წარმოდგენაზე საქმაო რიცივი მასურებლებისა, ერთი ნაწილი მასწავლებლის სასყიდლისა შეიძლება იკისროს დრამატიკულ საზოგადოების კასსამ; ამავ კასსამ უნდა იკისროს ყველა წვრილი ხარჯი, რომელიც კი სკოლას მოჰყვება. ხარჯი ეს დიდი არ იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში: 1) რო სკოლა რეპერტიციებს ხასიათს დაიმნვეს და ცალკე სადგური მას არ მოუნდება, საკმარისი იქნება მისთვის თეატრის სცენა; 2) რადგან

მოწაფეები უსასყიდლოდ მიიღებენ მონაწილეობას წარმოდგენაში, წარმოდგენას დიდი ხარჯი არ ექნება და შემოსავალი კი მასურებლებისაგან მის, როგორც სამაგალითო გაკვეთილს, ექნება საკმარისი მასწავლებლისათვის. ამ მოსახრების გამო სკოლის შენახვა საზოგადოებას დასის შენახვაზე არამც თუ არ გაუძვირდება, არამედ გაუიფედება. ჩემის აზრით საკმარისი იქნება წელიწადში 500 — 1000 მან.

მასწავლებლების შოვნა არ გავიკირდება, რადგან გამოცდილს არტისტებს და სცენის მცოდნე მწერლებს იმ ოთხიოდ კლასისათვის, რომელიც ჩვენ გვინდა დავაარსოთ, ყოველთვის მოვიპოვებთ და რაც შეეხება მოწაფეების პოვნას, ეს უნდა მივანდოთ ჯერ თვით მასწავლებლების მხნეობას და ბეჯითობას, და ამას გარდა გამოვაცხადოთ ვაზეთში ჩვენი აზრი და ვაზეთის საშუალებით მოვიწვიოთ სცენის ყველა მოყვარე.

შელოლდ ამგვარად შესდგება მომავალში ნამდვილი დასი არტისტებისა, რომელიც არტისტულიად წაიყვანს ქართულის თეატრის საქმეს და მოიპოვებს პუბლიკის სიყვარულს და შემწეობას.

გ. თუმანიშვილი



სახალხო თეატრის მოღვაწენი

მიწის გუზას



ბ. ციციშვილის ასული

მუშავ კეთილო! შენ ზოგათან „ხებრე“ რომ გქვიან, ჩემი გრძნობა და მისწრაფება შენ შემოგტრფიან... შენ გიგალობენ ანგელოზნი ჩემი სულისა, რადგან მკურნალი ისევ შენ ხარ ბედით კრულისა!.. შრომის შვილი ხარ, შრომის მამა, შრომის ხატება, შენშია ქვეყნის სვე-გვირგვინი და აღმატება. ქვეყნიერების მხოლოდ შენ ხარ მთელი დიდება, რადგან ქვეყანას ეგ მარჯვენი კიდემდე სწვდება!.. წმინდა საქმით ხარ სიღარიბის მტკიცე მებრძოლი, რასშიც არა გყავს შენ ბადალი, ცალი და ტოლი!.. ქება შენს საქმეს, და დიდება მაგნაირ ბრძოლას, რომ შენ მეგ ბრძოლით არაგის ჰვერი შიშსა და ძრწოლას, რადგან ბრძოლაში სისხლს არა ჰღვრი ადამის ძისას და მით არ არღვევ ქრისტეს მცნებას.—ჯანონს ზეცისას!.. უსისხლო მსხვერპლის ხარ ღვთისადმი შენ შემწირველი: შრომის და ოფისის, რითაც ჰხარობს მთა, ტყე და ველი! ასხურე მიწას წმინდა ოფლი, ვით ნამი ცისა, კვლავ ააყვავე მით ნაყოფი დედა-მიწისა, კვლავ აღმართე ღრმშიად შენი პური და ღვინო, კაცობრიობის სასიცოცხლო, ყოვლად საღვინო!..



მ. დემურიასა



ნ. გოცირიძე

გწამდეს კეთილო, მხოლოდ შრამა და სიყვარული, — იმაში არის შენი ბედი, ნისლით ფაქული, მასშია შენი მომავალი სხივთა კრებულო, იქ ქედს მოიდრეკს ვამი შენზე გააუთრებულო, იმ სიყვარულში მოიბოგებ სრულს ნეტარებას, თუ გაიგონებ ამ ძმურ რჩევას და აღსარებას!..


ნოშრევანიძე



ს. რომანიშვილი



ი. შურაბიშვილი



დ. შველიძე



გიორგი ჯამბურია



მუსიკა და ქართველი მუსიკოსნი

(დასაწყისი იხ. „თ. და ე.“ № 12)



ო. კარგარეთელი

ანდამიდილი სხორადს ვამო-
ვიდა ო. გ. კარგარეთელი, ვე-
ლი ვინთ ვინც არის ბ. კარ-
გარეთელი; მისმა უნაგრო მუ-
შაბამ ამ ასპარეზზე ჩვენ
თვალ წინ გაიარა და დღესაც,
იმ შავანულ და უკუღმართ
ღღას შუმივე, რაც მას უბედუ-
რებს შუმივს, განხორციელებული
კენი, ფარს ხელდაწარ ავადებს.

სამუსიკო განათლება მისეთაში მიიღო; ჯერ კიდევ
აქ ურბნის დრამს იგი მონაწილეობდა რუსეთში
ზირიქლად გამართულ ეთნოგრაფიულ კონცერტში,
რომელიც შავანულ მისეთაში ეთნოგრაფიულად ს-
ხოგადობამ. მისეთაში უთიბის დროს; ქართველ
სტუდენტების ერთ ჯგუფში; სხადე კარგარეთელი
დახსოვდებიდა იყო, დიანდა ახრი სამუსიკო ს-
ხოგადობის დარსების, რომელსაც უნდა ეგრუნა
ქართულ ხალხურ სიმღერების აღორძინებაზე; ამ
ჯგუფის წევრებს და კერძოდ ექიმ დამამიძესაც,
ამირანს სხოგადობის დარსების იდეა, კარგად
უნდა აქნობდეთ. მოსკოვიდან ბ. კარგარეთელი ს-
შობაშითა რთ დაბრუნდა, აქ მოაბოვა თანამაზრე-
ნი, 1902 წ. თავის ბინაზე მოიწვია ივანი და
თავისი განხორცვა განუხარა, რამდენიმეჯერლობის
შემდეგ აირიეს კომისია თუხენ; ბ. ბ. კარგარეთელი,
მირიანაშვილი და ყარაშვილი. შემუშავდა წესდება და
გუბერნატორს წარედგინა.

1903 წ. წესდება ამტკიცდა და მას აქეთ ამ
წესებით მოქმედების აწ არსებული „ქართული ფი-
ლარმონიული სხოგადობა“.

ბ. კარგარეთლისევი თასნობით დაარსდა 1910
წ. ქართულ ხორის სხოგადობა „სინთური“, თუმი-
ცა კი ამ სხოგადობის მოღვაწეობა დღემდე არა-
ფრით არის თვალსაჩინო. კარგარეთელმა დასწერა
რუსულს ენაზე მოკლე ისტორია ქართულ მუსი-
კის, შეადგინა კრებულება ხალხური სიმღერების,
დასწერა ქართული რომანსები, აქვე აუარებული ს-
წერი რუსულსა და ქართულს ენაზე ქართულ მუ-
სიკის შესახებ.

მის მიერ შეკრებილი ხალხური ლექსები და
თქმულებანი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დრო-გამო-

შეებით დღესაც იბეჭდება ხოლმე, იგი იველს
წაუკითხავს და იცის რა დიდის არჩევითა და დე-
ვირებით არის შეკრებილი.

ამავე ხორში მღეროდა კორ. მღრანე; სამუ-
სიკო განხორბობა თუმა არსად მიუღია, მგრამ
სიმღერ-გალობის მღერნელ კი ითვლებს. მას კულ-
წრთულად უყვარს ქართული მუსიკა; გ. მღრანემ
დასწერა სისილერო დუეტი „ჩემი ვარსკვლავი“ და სს.

ანდამიდილისევი ხორში მონაწილეობას იღებ-
და ბ. ს. ჩხივავცი; იგი სწერდა ქართულ მუსი-
კის შესახებ გაზეთებში. შეადგინა ხალხური სიმ-
ღერების კრებული „სლამური“. თუმა სამუსიკო



ზ. ჩხივავცი

განხორბობა არსად მიუღია, მგრ-
ამ დღეს იგი ლიტატორის
ქართულ ფილარმონიულ ხორის.
აქვე აგრეთვე დაწერილი სკე-
ლუსით სკვალობებიც.

მუსიკის ასპარეზზე მოღვა-
წეობდა აგრეთვე ბ. მ. ბაღ-
ჩიავცი. ანდამიდილის ხორის
დახსოვდებიდა იგი რუსულ დასში
მღეროდა. 1890 წ. წავიდა

რუსეთს და მას აქედ თითქმის ექვ ცხოვრობს. მ.
ბაღჩიავციმ დასწერა რომანსები „შენ გტრთი მ-
რად“ და „სნას“. ამბობენ, მანვე დასწერა თქერა
„თამარ ცბიერი“. ზოგიერთა აღიულები ამ თქ-
რდან ქართულ სხოგადობასაც მოუხიზია, ხოლო
მოთელი თქერის დაბეჭდვას და დღემას სხოგადობ-
ა დღესაც მოთმინლად მთავის.

ბაღჩიავციმ ვეერდში უნდა
ამოუქნით ფ. ქორიძე ფ. ქო-
რიძის დიდებულო სმა ქქონდა.
სიმღერა შეისწავლა იტალიაში,
ერთ დროს იგი რუსულ თორის
დასში იღებდა მონაწილეობას,
დასწერა ქართული რომანსები,
სიმღერები; უფრო თვალსაჩინო
სამუშაოთა ქორიძის არის სკე-
ლუსით სკვალობების კრებუ-
ლები იმერული კალითა „ცისკარი“ და „მწუხ-
რი“. სწერდა აგრეთვე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში
ქართულ მუსიკის შესახებ.




ფ. ქორიძე

ი. მარალიძე

(დასასრული შემდეგ ნომერში)





ალ. ივ. სარაჯიშვილი (1851—1914)

გარდაიცვალა 1 ივნისს.

ქართული თეატრის მოღვაწენი ქართლში

არის ხოლმე ერის ცხოვრებაში ისეთი მომენტები, როცა იგი აღფრთოვანებას განიცადის, უდგება განახლებისა და აღორძინების ხანა; მოცემის მას ხარის რეკვა, ფიზიკურად, სერთო ფერხულში ყველა ემბედა და სიხარულის დაღაღი გაისმის ყველგან. ესეთი მომენტები რომ არ იყოს, რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, განსაკუთრებით ცხოვრება კირთების ქვეშ მყოფი ერისა? ასეთი აღმაფრთოვანებელი ხანა იყო ჩვენს ცხოვრებაში—სამუდამო ქართული თეატრის დაფუძნება საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში 1879 წელს. თეატრის დაფუძნების იდეა არ შეწყვეტილა ჩვენში, იგი ნელ-ნელა იზდებოდა და ღვივდებოდა ხალხის გულში, დედა-ქალაქს ბანს აძლევდა პროვინციაც, განსაკუთრებით ქუთაისი და ქართლში გორი. ჯერ მინამღე თბილისში დაფუძნდებოდა თეატრი, გორში შესდგა საკმაოდ ვრცელი მოყვარულთა წრე, რომელიც კანტიკუნტად მართავდა ხოლმე წარმოდგენებს. მაგრამ როცა დედა-ქალაქში სამუდამო თეატრი დაარსდა

სამუდამო დასით, მაშინ გორელთა მოყვარულნი წრე აღფრთოვანდა, ხშირად იწვევდა ქართულს დასს და მისთან ერთად მართავდა წარმოდგენებს გორში, ცხინვალში, სურამში და ხაშურში. გორის მოყვარულთა წრე აღარ ხუმრობდა, იგი ნამდვილ დასს წარმოადგენდა და საბ სუხოსმგებელ პიესებს სდგამდა. ამისათვის სცენა იყო საჭირო. გამოჩნდნენ გულშემატკივარნი: ნიკო დისამიძე და ალალო თუთავეი. ამთ გამართეს თავის ხარჯით გორის საქალაქო ბაღში დანგრეული როტონდა, გამართეს სცენა, დადგეს სკამები, ბალი გაასუფთავეს, მიწა მოაყარეს. ამ მოწყობაში თბილისის დრამატული საზოგადოებამაც ცოტა დახმარება გაუწია: ვანო მაჩაბელმა მოაწოდა ხუთმეტრი თუმანი. როტონდა მტკვრის პირას იყო, დაშორებით ქალაქზე, ამიტომ თუთავემა იკისრა თავის ხარჯით ყარაულის დაყენება, რომ როტონდისათვის ყური ეგდო. ოთხმოციან წლებში ნიკო დისამიძემ სამეფო ქუჩაზე ააშენა სახლები და ერთი დიდი დარბაზი დაუთმო თეატრსა უფასოდ, ბოლოს აქ მოაწყეს სცენა; თბილისის ქართულმა თეატრმა იაფად დაუთმო ზოგიერთი რამ საჭირო დეკორაციები, ბუტაფორია, ფარდები.

მოყვარულთა სამუდამო დასს შეადგენდა: ქანი მარიამ კერესელიძისა, სოფიო ლომოურისა, ნინო მგალობლიშვილისა, კესარია ტატიშვილისა (მ. ტ. ვაზუნია-ცაგარელი და), ბარბარე კარგავისი (მოზლოკელი ქართველი ქალი) და სხვ. ბ-ნნი: კოტე სანთლიკელაშვილი, პავლე ბურჯანაძე, შიო დავითიშვილი, დათიკო ქართველიშვილი, სანდრო ქელიძე, სოჟრ. მგალობლიშვილი, სვ. გოგლიჩიძე და სხვ. ამ დასს თვისი გამგეობაც ჰყავდა, გულშემატკივარნი, რომელნიც ხელს უმართავდნენ სიტყვით თუ საქმით: ეკატერინე ფურცელაძისა, მ. ყიფიანი, ნიკო ლომოური, მათე კერესელიძე (აქ ანგარიშში მოსატანი არ არიან ნ. დიასამიძე და ა. თუთავეი). ვრცლად გორის სცენის მოღვაწეთა შესახებ მქონდა მოხსენებული ჩემს მოგონებებში, რომელიც დაიბეჭდა „თემის“ 1911 წ. მეოთხე ნომერში, ამიტომ აღვნიშნავ აქ მხოლოდ მოკლედ ამ დასის მოღვაწეობას სოფლად. ზოგიერთნი მათგანი ზაფ-




ხულობით სოფლადაც გადიოდნენ და მართავენ წარმოდგენებს ხალხისათვის, მაგ. ხიდის თავში (გორის ახლო), რეხეში ასიკო ერისთავის სახლში, მეჯვრისხევში, აქ განსაკუთრებით მაშინ, როცა მოსე ნათაძე და თეოფილე კნდელაიკი იყვნენ მასწავლებლებად, რომელნიც ძალიან ხელს უწყობდნენ წარმოდგენების მართვას, ცხინვალში, ქარელში, ხაშურში და სურამში. ამ ადგილებში თბილისის დასს მიედევლით ზოგიერთი მოყვარულნი. ხშირად კერძო სახლებშიაც სოფლელთ თანადანსწრებით კითხულობდნენ რამე მოთხრობებს, ხალხურს სცენებს, მაგ. მაკინე ამირაჯიბისას ს. სალოლაშენში, ნიკო დიასამიძის სოფ. საქაშეთში და ბრილიში.

დღეა-ენა შეღსაჯოებულთა, მასწავლებლები ორკუთხოვნენ, მღვდლები ვადაშენდნენ, ჯდეუბი ვადაგვირჯულდნენ, ამიტომ ჩვენი ერი, ქართული ენა განიკდის შექორფებას. ერთად



ნ. დიასამიძე



ა. თუთაევი

ერთი მხსნელი ჩვენი დღეს არის ქართული თეატრი—უსათუოდ უნდა შესდგეს ხალხური მოძრაეი დასი, რომელმაც დაბა-სოფლად უნდა გამართოს წარმოდგენები და ჩვენი ხალხი გაათვითცნობიეროს, გაუღვიძოს სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება. ამ საქმეს დახანება არ უნდა და იმედია დრამატურგთა და მსახიობთა კრება რამე წამალს დასდებს ამ დრად საჭირო საქმეს.

დ. შიგინაძე

„იასონის ოინებუი“

ვოდევილი ორ სურათად

(დასაწყისი იხ. „თ. და ე.“ № 13)

თეიმურაზი. (წამოწვება)

ივანე. ცოტა გაფლარათლით, ბატონო. (ქამარს შესწისი, ჩეკმესს და ჩახსს გახდის, ხსალუხს გაუსწის. თეიმურაზს მუკელი გამოუკარდება და გადმოშეგებუა ჰერანჯი ამოქრება) კაი კაცი უნდა ჩანდეს ეს ჩვენი მასპინძელი. რავარც ჩამოვდელით ფეხი პარახოთიდან, მაშინათვე ჩვენსკენ გამეკეპნა კაი ნათესავივით და აღარსად აღარ გავვიშუა, ჩემთან წამოლითო და ახლა აღბათ სადილს გვიზადებს, რაც გენებოთ, მამთხოვეთო.

თეიმ. თუ მეწვია ჩემს სასახლეში, სწორეთ მეც მაგიერ ვატივსა ცეცმ. მარა, მარა, ივანე, ხომ არ გავიცნობდა, რათ დავგვატივა ასე გულიანათ?

ივანე. იიმე, ბატონო! შეხედულემა გაქიმისთანა, რომ... რომ... რომ... სწორეთ მეფური, თქვენმა სიცოცხლემ, და ყველას ესახელე



1. სოფ. მგალობლიშვილი (წეეს), 2. ნ. ლომოური, 3. მათე კრესელიძე, 4. პავლე ბურჯანაძე 5. სიმონ გოგლიძე.

დიად, ოთხმოციან წლების გორის ინტელიგენციას დიდი დეაწლი მიუძღვის ქართველი საზოგადოების წინაშე წარმოდგენების მართვით, როგოც გორში, ისე სოფლად. მათგან გაბნეულმა თესლმა ჰპოვა ნაყოფიერი ნიადაგი, უხვად გამოსცა ნაყოფი და აი დღეს თითქმის ყველაგან მოყვარულთა დასებია შედგენილი და მრავლად იმართება წარმოდგენები. ჩვენი სკოლები ჯერ კიდევ შებორკლია,

ბა თქვენი სტუმრობა. ამისთვისაც სახელი და ამიტომ დაგვბატია.

თეიმ (სიამაყებით იღივებს), მეფური ჰა, ივანე, მეფური.

ივანე, კი, შენ ნუ მამიკვლები. თქვენი მხარბევი, ბატონო, სწორეთ ერთ ღრუბენიათ ღირს, თქვენმა სიცოცხლემ. მეგრე სახელიც დიდი გაქ გვარდინილი, ბატონო.

თეიმ (მხარბეკსზე ისეღება) მხარბევი, ივანე, მხარბევი სწორეთ რომ გვარიანი მაქ, გვარიანი.

ივანე, გვარიანი კი არა, ბატონო, და ასე მოგახსენებ, რომ სწორეთ ერთ რამეთ ღირს, თქვენმა სიცოცხლემ. (რამდენიმე ხანს სიჩუქს. ივანე ფანჯარაში ისეღება) ი ვარიანთან რომ გამევიარეთ წელან, ბატონო, აბა ისიც კი ვაყავი ყოფილა, თქვენმა სიცოცხლემ.

თეიმ, კი ვაყავი იყო, კი, ივანე!

ივანე, ასე გამიგონია, ბატონო, რომეო, კანულის ძალითაო რაც რომ კაცაო, ვთქვით სისხოთი და სიმაღლით, პამეტნიკი იმისი ნახევარი უნდა იყოსო, მეტი არ შეიძლებაო და იმხელა პამეტნიკში თუ მარტო ნახევარია ის მამაცხონებულის შვილი, ცოცხალი სწორეთ მოსანახავი რამე იქნებოდა, თქვენმა სიცოცხლემ.

თეიმ, კარგი მოსული ვაყავი იყო, ივანე, კარგი.

ივანე, ერთი რამე კი არ მომწონს, ბატონო! იმხელა ვაყავი ქოსა ყოფილა, — არც წვერი აქ და არც უღვაში თქვენმა სიცოცხლემ და იმას რომ თქვენი დარბარსელი თურყორიზა წვერულვაში მიკა იმ პამეტნიკზე, სწორეთ რომ ძალიან დამშვენებდებოდა, თქვენმა სიცოცხლემ.

თეიმ (წვერებზე დახედავს და ხელს გასვამს) ჰო, ჰო, ჩემო ივანე, კი დამშვენდება... მეც კი დამშვენდება მხრებზე ღე...ღერანალის აბელატები, ჰა, ივანე!

ივანე, იიმე, ბატონო, ახლაც დამშვენებული ხარ და მაშინ ხო მთლათ დამშვენებული იქნებოდი, თქვენმა სიცოცხლემ. (შეშვავს მაქსიმე, შავი დასაშვავს გამოსწევს, სუფრას გადადგავს, შურს, უფლს და წვინლს დაწვავს)

თეიმ, იიმე, ჩემო სვიმონ...

მაქსიმე (გაუსწორებს) მაქსიმე ვახლავარბ, ბატონო!

თეიმ, ჰოო, ჩემო მაქსიმე! რითო გავდგინადლო იმდენი პატივისცემა!

ივანე, შენისთანა დიდებულკაცზე, ჩემო ბატონო, არაფერო დეკარქება არც ჩვენს მაქსიმეს და არც სხვას, შენმა სიცოცხლემ.

თეიმ, თუ მეწვივა ჩემს სასახლეში, სულ ღვინოში ვაბანავებ, ღვინოში მაშკა გოკივიო. (მაქსიმე გადას)

ივანე, სწორეთ რომ კი კაცი უნდა იყოს ეს ჩვენი მაქსიმე, ესეც კია, ბატონო, რომ შეგატუთ თქვენი ღირსება და იმიტომ ცდილობს, თქვენმა სიცოცხლემ.

თეიმ, აზნაურიშვილი იქნება ნამდვილათ ჰა, ივანე!

ივანე, კი მოდამს კეთილშობილი კაცის ელფერი, თქვენმა სიცოცხლემ. (შეშვავს მაქსიმე, რთი ბოთლი ღვინოთ, თუეზით და შავიდასე აწყობს)

მაქ, აბა, ბატონო, მობრძანდით და მიერთით. წვადიც მალე იქნება მზათ. თუ კიდე მიბრძანებთ რასმე, ყველფერს მოგართმევთ, ღვთის მოცემული ბევრია. (გასვლას აპირებს)

თეიმ, იიმე, იიმე... შე... შე კი კაცო, თუ მასპინძელი გართ გექცა, სტუმარს საქმელი არ იამება.

ივანე, გვერლით მოგვიჯექი, ჩემო მაქსიმე, და შევექცეთ ერთ თ! — ღვთის მოცემული ყველფერი ბევრია, შენმა სიცოცხლემ.

მაქ, მე არა მტალია, საქმეები მაქვს.

თეიმ, იიმე, იიმე, შე კი კაცო და მამაცხონებულო, რავა გეკადრება. შენ რომ ჩემ სა...სასახლეში მეწვიო, იმისთანა ხბოს დაგიკლამ, რომო კამბეის ყლამამდეს და სახლი რომ მეწოდეს, თავს არ დავანებებ.

მაქ, დაბრძანდით და მეც გიახლებით ამ საათში. (მაქსიმე კავს, ივანე და თეიმურაზი მავდას შემოუსწავთან და შექცევიან)

თეიმ, (ღვინოს დაღვევს) სწორეთ რომ ჩინებული ღვინოა ჰა, ივანე!

ივანე, (სვამს) სამარგალიტო სასმელია, თქვენმა სიცოცხლემ. (შეშვადს მაქსიმე)

თეიმ, ჰო, ჩემო... ჩემო სვიმონ!

მაქ, (უსწორებს) მაქსიმე ვახლავარბ, ბატონო!

თეიმ, ჩო, ჩემო მაქსიმე! ავერ მოგვიჯექი



დღევანდელ წარმოდგენის გამო ქარ. თეატრში

„მე“



ნინო ნახაშვიძე ელ.ანდრონიკაშვილი

„ვინ არი დამნა-შავე“-ს ავტორი

ფატის როლის შემსრულებელი

გვერდში, შენც შეექეცი და ჩვენც უფრო გვიამებამაშინ. (მეჩსიუ დაჯდება და შექცნება სსშუქსი) მეუღლე არა ვყავს ჩემო... ჩემო...

მაქ. (გაწვეკტინეს) ვახლავს, ბატონო, სოფელში.

თემ. კაი, კაი დაგემართოს.

ივანე. ეს ღმერთმა მინდღენძელოს დიდი ბატონი თემურაზი თავისი სამარგალიტო ცოლ-შვილით და მისი სიცოცხლე და წყალობა ნუ მოაკლოს ჩემს საწყალ თავს (სვამს), ალავერდი შენთან, ჩემო მაქსიმე.

მაქ. ღმერთმა დღეგელი გამყოფოთ ცოლ-შვილით და აყვლა თქვენი დამოკიდებულობით. (სვამს)

თემ. გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო, ჩემო... სვიმონ...

ივანე. (უსწორებს) მაქსიმეა, ბატონო!

თემ. ჰო, ჩემო მაქსიმე! ძალიან მისპინძელი ვართ, მარა თუ მეც მეწვევი ჩემ სასახლეში, იმისთანა ხბოს დაგიკლამ, რომ... რომ ვამბენის ყლაპამდეს.


მაქ. (ივანეს) ხბო რაეა ვადაყლაპამს კამბეჩს?

ივანე. იმე, თითო იმხელა ხბო გამოეა ამის ბაკეში მართლა რო სწორედ ვადაყლაპამს კამბეჩს, შენმა სიცოცხლემ.

მაქ. (თავისთვის) ზვერი სხედასხვა ნაირი. ხალხი მოდის ამ ჩვენ ვასტინცაში, მარა ამათთანა ოინბაზები მე ჯერ არ შემხვედრია.

ვ. კახიძე

(გვარძელება შემდეგ ნომერში)



ადამიანის სულიდან აღმოხდება სიტყვა; რომელიც აცამტვრებს ოცნებას სიყვარულისას. ვერავითარი ჟამთა ცვლილება ვერ დახშობს მას! იგი სიმბოლოა გამოხატველი კაცთა სურვილის...

აი, მოდის, მოდის ასული მშვენიერი და მისი ღმილი იჭრება შენს სულში, დაეყრდნობა შენს მკერდს, რომლის სიღრმეში შეგუბებული ნალველი, სევდა! ყურს უგდებ მის ჩურჩულს და გესმის: მე მსურს დაგვწავ ალერსში, მე მსურს დავამსხვრიო შენს სულში შეგუბებული სევდის ტალღები, მაგრამ არას დროს არ გკოხბავს:—რა გსურს შენ?

ზიხარ განმარტოებით დაფიქრებული და სველით აღსილი ვასტეკრ მქმინავ ზღვას. რალაც ვალოინებს; გტანჯავს, ჯოჯოხეთის ცეცხლი ანთია შენს სულში. რალაც გამოურკვეველი სურვილი გახრჩობს. ამ დროს შემოიჭრება მეგობარი შენს მარტოობაში, დადადებს ტლანქ ხელს მხარზე და გვეუბნება:—რას დაღერემილხარ? მე მსურს გამხიარულდე.

განა ოდესმე შეეგვიტებებიან:—რა გსურს შენ, მეგობარო?

უიმელოთ ეყრდნობი დედის მკერდს და ცრემლებით ნამე მის კალთებს. გესმის მხოლოდ:—მე მსურს მყავდეს ღირსეული შვილი. დედა! დედა! როდესაც მკერდზე მიიკრდნობ შენს საყვარელ შვილს, რად არ შეეკითხები: რა გსურს! რა გტანჯავს, შვილო ჩემო, საყვარელო?

მის. ბოჭორიშვილი

მუშა ბძმენ განჩილაძის სიტყვა

კოტე მესხის სამარგათხან თქმული

ღვწლით მოსილო, პატოისანო მუშაკო, კონსტანტინე სიმონის ძე!

დამწუხარებულნი შენის დაკარგვით, მგლოვიარე ერთან ერთად ქართულ თეატრის მუშეცი უფრთღებთან საზოგადო წწუხარებას და მავალებენ, მუხლი მოვიყარო შენის ღვაწლით მოსილის ცხედრის წინაშე და უქანსკენილად გამოგესალმო.

კვლავ ჩამოჭკრა გლოვის ზარმა, კვლავ დაგვბნელდა ერთი მანათობელი ვარსკვლავი ქართულის სკენისა, — დაეკარგეთ დიდი დასაკარგი, აღარა გყავს კოტე მესხი. ვწუხვართ და ვტრბოთ, მისთვის, რომ კვლავ ვეღარ დაგვატკობ შენის ცქერით, ნროინისა და სხვების ზედმიწეგნით მხატვრულის ნიჭით განსახიერებით. ვსტრბოთ მისთვის, რომ აღარ გვეყოლება ტბილი და მხიარული, სხრილი და თავაზიანი მოსალამე კოტე მესხი, რომლის



შეხვედრა ჩვენ, მუშებსაც გვიხაროდა, ვინაიდან შენი შეხვედრა მწუხარესაც სიამეს გგვირდა გულში, რაიც ჩვენთვის ერთგვარ სიმდიდრეს შეიცავდა. ესწუხვართ, რომ მიოცე საუკუნე თითქმის განგებ ჩვენთვის დადგა, რომ ყოველ წელწადს წავგვართვას თითო ოროლო საზოგადო მოღვაწენი, რომლებსაც მიგვიგრობა არც ისე ადვილია. და სამწუხაროც ისაა, დიდად პატივსმულია, რომ ჯერ კიდევ დიდახსნი დიდი სამსახური შეგვძლო გაგვეწა შენის ერისა და შენი საყვარელი სცენისათვის...

მაგრამ უწყალო სიკვდილმა და მცირე ხნის ავადყოფობამ უღრმოვლ დავეიობლა ქართული სცენა შენ მხრივ. მახსოვს ამ ორის წლის წინად შენის ოცდაათი წლის სასცენო მოღვაწეობის აღნიშვნის დღეს, მზიარულს მზიარული და კმაყოფილი შენი საყვარელი ხალხი შემობგაროდა თავის მამულივით, გაბრწყინებულს სპეტაკის შრომით. მახსოვს ჩვენის მილოცვის შემდეგ სიცილით გვითხარ, მოდიო შენოა გადაგაკონოთ, და ჩვეუც ვებტარებოთ შენთან ერთად: ის კოცნა იყო ტკბილი. დღეს-კი, დღეს იგივე შენი საყვარელი ერი, რომელსაც შეალოე შენი ძალონე, დამწუხრებული და თვალცრემლიანი დგას შენის ცხედრის წინაშე სამარის კარად. ერთი წამიც და სამუდამო მიეფარები ჩვენს თვალთვან... მშვიდობით, პატიოსანო მუშაკო, უქანასკნელად ვეამბორები შენს გაცივებულ სახეს, მაგრამ შენის ღვაწლით ხანგძლივი და დაუმოწარი იქნები ჩვენს გულში.

ქართული თეატრის მუშა პიმენ გაჩეჩილაძე

წ ვ რ ი ლ ი ა მ ბ ე ბ ი

სამსოგლოზი

➤ **ახალგაზდა მუხთაოხი ირაკლი ჯგაბდარი,** რომელიც ამ ჟამად პარიზშია, მომავალი ნოემბერსა და დეკემბერში ოროლ კონცერტს განაზრავს (თითო სიმფონიური, თითო პიანინოთი) პარიზსა და ბერლინში.

➤ **კოტე მესხის ძეგლის** დასადგმელად შუმის წირეს ვ. ავლიანმა - 100 მ., თავ. ას. გრ. არლუთინსკიმ - 100 მ., ალ. ბილ. შახინოვამ - 25 მ., ქართულმა ფარმაცევტებმა (სია შემდეგ დიმიტუბება) - 28 მ. 50 კ.

➤ **„სინათლე“-ს ფრანგულად** გადათარგმნა უკვე დასრულა დ. კასრაძემ და პარიზში ფრანგულ ჟურნალ „კომედისს“ რედაქციას გაუგზავნა. მთარგმნელის მოთხოვნისთვისამებრ გაიგზავნა ავტორის, რეჟისორის (ვ. შალიკაშვილისა) და პიესის სურათები.

➤ **ცალკე წიგნად გამოვიდა „სინათლე“** ი. გედევანიშვილისა, გამოცემა იოსებ იმედაშვილისა. წიგნი შემკულია რვა სურათით. ჰ ჰ ჰ ჰ 30 კ.

➤ **იზალორა დუნკანის მოწაფე მოცეკვავე ქალნი** ამ მოკლე ხანში თბილისის ესტუმრებიან.

➤ **ზ. ფალიაშვილმა უკვე** დასრულა თავისი ახალი ქართული ოპერა „ახალგაზდა და თეთრი“, რომლის დადგმაც განზრახული აქვს შემოგლომაზე.

სომხეთა შორის

➤ **სომხეთა დრამ ს ზ-ამ უკვე** დაიწყო დასის შედგენა, ჯერჯერობით მიიწვიან: ქნი მისსურაინი. ქასმინი და არაქსიანი; ნ-ი აბელიანი, აკტიანი, არაქსიანი და ფეფაზიანი.

რუსთა შორის

➤ **გარდაიცვალა გამოჩენილი მხახიბი ა. რ. არტემი,** სტანისლავსკის ერთობლი თანამშრომელი და სამხატვრო თეატრის ერთი დამაარსებელთაგანი, „სამხატვრო თეატრის პაპად“ წოდებული. ავად გახდა სცენაზე თანამშრომელს დროს მთავრ მოქმედებაში, მაგრამ წარმოდგენა მაინც დასრულდა. მამინე ბინაზე მიიყვანეს, დაწვინეს, მერე აღარც ამდგარა, გადიც. 16 მისის მოსკოვის სამხატვრო თეატრის გამგეობამ გადასწვიცა, მის სახელოაზე მხახიბთა თავშესაფარში ერთი საწოლი დასდგას.

➤ **ლონიდე ანდრეევი** საკუთარ დასს ადგენს თავის იმ პიესათა წარმოსადგენად, რომელთაც მსყრბეული ვერ მოინადირეს ვითომდა რიგინად დაუდგმელობის გამო.

➤ **„მეუფე ურიათას“ წარმოდგენის** ნებას არ აძლევს, მაგრამ სცენაზე წაითხვას კი არ უშლიან. დალსკიმ უკვე შეადგინა დასი 20 კაცისაგან და ამ პიესის წაითხვას წყვედილით მოკლე სცენაზე, სცენის განათმებრ რეფლექტორებოთ. ამბობენ, ასე უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენს მსმენელ-მსყრბელებო.

➤ **გასოცარი დაწვევა შემოიღეს** ზოგიერთ სცენის ქურუთი. მოცეკვე ქალმა პავლოვსამ დააზღვევა თავისი... ფეხები 150,000 მან., მ. ფ. კუზნეცოვისამ თავი... „სილომამ“ 50,000 მან., ხილო ხმა - 100,010 მან.

➤ **ალ. ივ. სუმბათაშვილი-იუფინი** ესპანისა გამგზავნა დასასვენებლად და სამკურნალოდ.

➤ **კ. მარჯანიშვილს,** რუსეთში სახელგანთქმულ რეჟისორს, სუხადოლსკისთან უთანხმოება მოუხდა და განშორდა.

➤ **მხატვრული ოპერეტის (პიანკოვსკიას) დირექციამ** საზაფხულო და მომავალ საზამირო სეზონებისთვის მთავრ რეჟისორად მიიწვიან ქართულ თეატრში რეჟისორის თანაშემწედ ნამყოფი შაქრო ბერიძე (ბერიშვილი).

➤ **რედაქციისგან:** ამ ნომრისათვის შევეითო ზოგიერთი კლიშე ვერ მოგვისწრეს, აგრეთვე ამ ნომრისთვის აწყობილი წერილები: „სამტრედის წარმოდგენები“, „ხონის სათეატრო საქმეები“, „სქესობრივი ცვლილება და ხელცივება“, „კაპოველ მწერალთა წერილები“, „იმერული სცენა“ და სხ. უადვილობის გამო შემდგისთვის გადაიღო.



იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით. ჟურნალში დაიბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, კრიტიკული განხილვანი, დიხსიათებანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სამეცნიერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხ.

ყოველს ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი. ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ კორესპონდენტები ჰყავს რუსეთის და საზღვარგარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მკვლევარნი და მსხვერპლ-სელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად—5 მ., (წლის დამლევაზე—4 მ.). ნახევარი წლით—3 მ. თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილიადაც შეიძლება: ხელმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

ხელისმოწერა მიიღება: ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტარაში და იასენ იმედშედეგთან („სორანანის“ სტამბაში) დღით 10—2 სსთამდე, სტამბის 5—7 სსთამდე.

წერილები და მასალები უნდა გამოგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифლის, ред. жур. „Театри да Цховреба“ Иосифу Имедашвили.

გერალტში დასაბეჭდი განცხადებანიც მიიღება იქვე. ტელეფონი № 15-41

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთ.

წელიწადი მეთხუთხეტი **თეაი** წელიწადი მეთხუთხეტი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ბაშოლის ორშაბათობით

წლიურნი ხელის მოწერელები მიიღებენ 2 საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება აპაქის პოემა „რამა-ლამხაში“, რაქა-ლიჩხუში მოსი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა; 2) ნ. ა. ლუბროსკის თხზულებას „ამ-გუსტ ბემლი“, რომელიც საკუთრიდ „თემი“-სთვის არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თემი“-ს რედაქციაში (ოლგას ქ., სახ. დიასამიძის, № 4).

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კ. კონტორა ღია ყოველდღე დღის 10 საათიდან 1 საათამდე.

მისამართის გამოცვლა თბილისს გარეშე 40 კ. მისამართი: Тифლისь, Ольгинская № 4, დ. Диасамидзе, редакция газ. „Темь“.

რედ.-გამომცემელი გრ. დიასამიძე

იმაკეთი ყოველდღიური საპოლიტიკო-ხალხი გაზეთი

ახალი რედაქციით და თანამშრომლებით წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით 4 აბაზი, ცალკე ნომერი—5 კ.

საზღვარ გარედ წლიურად—15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნთსაცავ-სამკითველოებს წლიურად 6 მ., ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილიადაც შეიძლება.

მისამართი: Кутаისь, ред. газ. „Имерети“.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ბეღაში

ბაშოლის ჟურნალში ვ ბარტიდან ორშაბათობით

სალიტერატურო-საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი.

რედაქცია: გიმნაზიის ქ. პ. ფერდის ლა 5. კარანუხოვის სტამბის სადგომში.

გაზეთის ფასი: წლით—2 მ. 50 კ. ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ. საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: Кутаისь, ред. еженед. груз. газеты „Шрома“.



პეივი ა. ო. იაშვილი

(თბილისის საქალაქო 1-ლ ნა-
წილის მკურნალი)
შინაგან ავადმყოფობათა.
დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.
წყნეთის ქ. № 19.

პეივი ა. ნ. დინასაძე

(ორღინატორი თბილ. სარკინის
გზო საავადმყოფოსი)
კანის, გენეროული და ათაშნავის
შეადლით 1—2¹/₂ ს., საღამოთ 6—8 ს
მოსკოვის ქ. № 4.

პეივი ივ. ვ. გომარათელი

შინაგან ავადმყოფობათა
დილის 8—12 ს.,
საღამოთი 5—7 ს.,
ოლგას ქ., № 20,
ტელეფონი № 6—33.

კბილის ექიმი

პეივი ალ. სოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს
დილის 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.
გოლოვინის პრ., № 12

პეივი ვ. დ. ღამბაშიძე

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.
ვარდის უბნის ქ. № 9.

პეივი ვ. ვ. მადალაშვილი

შინაგან ავადმყოფობათა
დილით 8—10 ს.
ოლგას ქ. № 39.

პეივი ნ. ე. იკანაძე

(თბილისის საქალაქო მკურნალი)
შინაგან სნეულებთა
დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს.
კიროვნის ქ. № 18.

პეივი შ. ა. მიქელაძე

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ.
საღამოთი 6—7 ს.
მიხეილის პრ. № 117. ტელეფ 8—16

პეივი ვ. ვ. ნათიშვილი

კანის, გენეროული და სიფილისის
დილით 11¹/₂—1 ს., საღამოთი 6—7 ს.
მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.



ხელოვნურად სამკურნალო და

შეზავებული ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლალიაძე დამ.

შზადდება საუკეთესო ხილეულის წვენიდან. წმინდა შა-
ქარით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამობდი-
ლი და ნადუდი წყლით.

გემო და სუნი სააგური აპსს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსების-
თვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობი-
ლია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურ-
ნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხები იყოფება; თბილისში—გოლოვინის პრ. № 6,
ტელეფ. № 4-11. ქუთაისში—პუშკინის ქ. № 5.

(20—13)



**პ. ვახტანგ ლაგაშვილის
სანატორიუმი**

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე
ქალ-ვაჟთათვის 8—5 ფლამდე
დაწვრილებით პირობები მსურველთ
გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნი-
ლებისათანავე.

მისამართა: თბილისი ექ. ვ. ღამბაშიძე
ვარდისუბნის ქუჩ. № 9

Воспоминанія
И
ХАРАКТЕРИСТИКИ
Г. М. ТУМАНОВА

Ел 3-хъ вып. Цѣна кажд. вып. 75 к.
Сладъ у автора, Баятинская № 6.